



EASTERN PARTNERSHIP Civil Society Forum

14 აგვისტო

2020

არ აღიაროთ არჩევნების შედეგი

ჩვენ, საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციები, ვგმობთ ბელარუსში მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ გამოყენებულ ძალადობრივ ქმედებებს.

სამართალდამცავების მოქმედებების შედეგად გარდაცვლილია ორი, ხოლო დაპატიმრებულია ათასობით მოქალაქე, რომლებიც პროტესტს გამოხატავდნენ ა/წ 9 აგვისტოს ბელარუსში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების დემოკრატიულ სტანდარტებთან შეუსაბამობის გამო. დაპატიმრებულთა შორის არიან ჟურნალისტებიც, რომელთა ადგილსამყოფელი უცნობია.

გამოაშვარავდა ადამიანის უფლებების დარღვევის მრავალი ფაქტი, მათ შორის ცემის, ფსიქოლოგიური ზეწოლის, დამამცირებელი მოპყრობის. არჩევნებამდეც და მის შემდეგაც ხორციელდება უკანონო ზეწოლა პოლიტიკურ ოპონენტებზე, სამოქალაქო აქტივისტებზე, მედიის წარმომადგენლებზე, სტუდენტებზე. შეიზღუდა წვდომა ინტერნეტზე, რამაც შეაფერხა ბელარუსი ხალხის შესაძლებლობა, ფართო საზოგადოებასა და საერთაშორისო თანამეგობრობისთვის გაეზიარებინა ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისა და საზოგადოებაში არსებული განწყობების შესახებ.

არჩევნებამდე, ლუკაშენკოს რეჟიმის მიერ, დაპატიმრების გზით საარჩევნო პროცესს ჩამოაცილეს მისი პოლიტიკური ოპონენტები, რაც დაუშვებელი და მიუღებელია.

ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციები მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას არ აღიაროს არჩევნების შედეგები.

ასევე მოვუწოდებთ ევროკავშირის ინსტიტუტებს, წევრ ქვეყნებს, დემოკრატიულ საზოგადოებას, არ მივცეთ საშუალება დიქტატორულ რეჟიმს ძალადობით დაამარცხოს ბელარუსი ხალხის ნება, უგულვებელყოს მათი ლტოლვა თავისუფლებისაკენ, ხელი შეუშალოს მათ დემოკრატიულ განვითარებაში.

ხელმომწერი ორგანიზაციები:

1. ლიბერალური აკადემია თბილისი
2. საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
3. საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
4. საქართველოს პროფესიული კვაშირების გაერთიანება
5. ასოციაცია „ტოლერანტი“
6. ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
7. მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
8. ასოციაცია და რადიო „მწვანე ტალღა“
9. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
10. ახალგაზრდული ალტერნატივა
11. სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
12. ფონდი "სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი"
13. პედაგოგთა კავშირი „განათლება და სამყარო“
14. კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
15. საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია „საქართველოს ჩაი“
16. საქართველოს საერთაშორისო განვითარების სააგენტო
17. ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის
18. ასოციაცია "გადავარჩინოთ მომავალი თაობა"
19. საერთო სამოქალაქო მოძრაობა "მრავალეროვანი საქართველო"
20. ასოციაცია თანხმობა
21. "ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია"
22. "საერთაშორისო ბიზნესის განვითარების და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრი"
23. ადამიანის უფლებათა ცენტრი
24. საერთაშორისო ასოციაცია კვიტას გეორგიკა
25. ცენტრი ემპათია
26. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი